კვირა, 24 ივლისი 1927 წ. № 110 ფასი 15 კაპ.

# ტარტაროზი

სპეციალური საკურორტო

სურ. შმერლინგის




ცოლი (ქმარს) წამოდი რა სასეირნოთ! არ გინდა აგარაკი დაათვალიერო?

ქმარი: ჯერ ხომ მზად არა ხარ! ჩაიცვი ტანზე და წამოვალ.

ცოლი: მე ჩაცმული ვარ! მზად ვარ..,

ქმარი: ! ! ! ! ??? ! ! ! !

# მოუფიქრებელი მუქარა

სურ. დონის



**დედა** (შვილს): ნუ სტირი, თორემ ტყის კაცი მოვა და წაგიყვანს!
**ბავშვი**: ტყის კაცის შე არ მეშინია! ტყეში შენ მას მიყავხარ, თორემ მე ყოველთვის კამფეტს მაძლევს.

## ჩვენი დროის „ნესტანი“

**წერილი ცოლისა აგარაკიდან ქმრისადმ.**

**წერილს** გწერ აგარაკიდან გულ-ამოსკვნილი, მტირალი.
შაბათ-კვირაზე ყოველთვის სადგურისკენ ვარ მცქირალი.
ვფიქრობ:—ეგების მოვიდეს ჩემი ყაჩაღი, ფირალი;
მეც გამახაროს და ამით საქმე ჰქნას გასაკვირალი...

**მაგრამ** არ სჩანხარ შენ, ჩემო,—ლონდება ჩემი გულია.
(ნაცნობის ხელით ქე-მაინც გამოგეგზავნა ფულია!)
სხვებს ქმრები მოსდით და ყველა ბავშვივით მხიარულია.
სად არის შენი სიტყვები და შენი სიყვარულია?!

**„უშენოდ** ჩემი სიცოცხლე, ვაჰმე, რა დიდი ძნელია!“
როდესაც ვაჟთან ვსეირნობ მე მირჩევნია ბნელია.
მის ხელში ჩავარდნილი ვარ,—რაც უნდა იმის მქნელია!
მეც ვნებიანათ ვუცქერი... არც ისე საწუნელია!

**შენ თუ** ცოცხალი იყავი არ მწამდა, (არცა მგონია).
შენზე დარდი და წუხილით მე მემატება ქონია.
შენი სიჩუმე ამდენ ხნის ვერ არის მოსაწონია.
ყურისწაგდება ასეთი დასათვალ-ასაწონია.

—:—

**ამბავს** მოგწერ. არ გეწყინოს, რაც მე აქა დემემართა.
ერთი ქალი შემომიჩნდა (სახელია მისი მართა);
მითხრა:—ერთს ვაჟს მოსწონხარო—და იმისკენ წამიმართა.
ნაძვის ძირში (შენ რომ იცი) იქ შეხვედრა გაიმართა.

**შენმა** მზემან, რაც იქ მოხდა ნუღარ მკითხავ, გენაცვალე.
არ გეწყინოს: სათნო ვარ და ის საწყალი შევიბრალე.
თუ არ მყავდა შენგნით შვილი, მეყოლება მისგან მალე.
დამიბარა:—ჩემო კარგო, კიდევ მოდი ამ დროს ხვალე“.

**ღმერთსა** შევედრე, რომ გიხსნა მან ეგზომ ძნელსა შრომასა;
ამიტომ ყურს ნუ ათხოვებ ჩემთან სხვებისაძრომასა.
მქონდეს უფლება მე სრული : მალამო ვსდო ჩემს ნდომასა,
დღე-ღამით ვაჟთან ყოფნა სჯობს ეზოში უქმად ჯდომასა,
**მე უფულოთ** ვერ ვიცოცხლებ, არ მექნება მშვიდი ძილი.
რაც სურვილი ალმეძრება, მე არ მინდა გავხდე წბილი.
ჩვეულებრივ პურის ჭამით გაფუჭდება თეთრი კბილი.
პურის ჭამას გადვეჩვიე, მირჩევნია ტორტი ტკბილი.

—:—

**წადი.** სალაროს მიმართე, არგე რა შენსა კარგ ცოლსა,
რომელსაც ვერსად უნახავ ამ ქვეყნად მსგავსსა და ტოლსა;
ჩემს გულს ალხინე ფულებით, პატივი ეცი მკერდ-ბროლსა;
მით შეასრულებ, შენ ჩემო, პასუხიმგებელ ქმრის როლსა.

**როცა** მოუთხოვონ ფულები კასიდან მოპარულია,
დამცველ ვექილად იგულე შენ ჩემი სიყვარულია.
(ვინ იცის! ეგებც შეგერგოს... ბევრი რამ დაფარულია).
თუ გაგიჭირდეს,—მე მკითხე გამსახლში სიარულია.

**შენ ამას** იზამ, თუ არ ხარ: ლაჩარი, ანდა ბერია
საქმე ესეთი უბრალო არ არის გასაბერია.
მისწმინდ-მოსწმინდე სალარო, წაიღე ყველაფერია.
რა გიჭირს—სამი თვის შემდეგ მეათე ოქტომბერია.

**ამგვარი** კარგი შემთხვევა სწორედ რომ საოცარია.
ამნისტიებთ იქნება, გიაღის ციხის კარია.
ჩემთვის სამი თვით იქ ჯდომა, ვაჰხ! ასე შესაზარია?!
ცოლს სურვილს თუ ვერ უსრულებს, მაშ რის მაქნისი ქმარია?!.

**ენუქი.**

# „ფეს-რიგიანობა"

## აგარაკზე წასასვლელათ აუცილებლათ საჭიროა

სურ. დო.




1. რიგი-ან ექიმთან მისვლა




2. რიგი ანად ფულის მილება



3. რიგი-ანად ბილეთის ალებ:



4. რიგი-ანად მატარებელში ჩაჯდომა

და ყველა ამის შემდეგ ნუ გაგიკვირდებათ, როც ურიგოთ გაგითავდეთ შვებულება.

# შ ვ ე ბ უ ლ ე ბ ა

გუშინწინ ტარტაროზმა დამიძახა თავის კაბინეტში და მითხრა:

— ზეგ, ხომ იცი: სპეციალური საკურორტო ნომერია. ამასთან დიდი კავშირი აქვს შვებულებას. წადი, ჩამოიარე და გაიგე ყველა ჯურის მოქალაქის შეხედულება ამის (შვებულების) შესახებ.

ჩვენც შევუდექით მის განკარგულების სისრულეში მოყვანას.

პირველად ვინახულეთ

**სასერმინოლოგიო კომისიის წევრი**

რომელმაც განგვიმარტა სიტყვა: „შვებულების" წარმოშობა:

— სიტყვა შვებულება ჩვენს დროში (და მით უფრო ზაფხულობით) დიდ ხმარებაშია. ჩვენის აზრით იგი უნდა წარმოსდგებოდეს ან სიტყვიდან: შვება (მოსვენება, უდარდელად ყოფნა), ანდა სიტყვიდან: გაშვება. პირველი ვარიაცია უფრო მიზანშეწონილად მიმაჩნია, ვიდრე მეორე. ცოტა რამეს კიდევ დაუმატებდი, მაგრამ ძალიან მშია და წითელ სასადილოში მივეჩქარები სადილის საჭმელად. კარგად მოგეხსენებათ, რომ კუჭს დიდი გავლენა აქვს აზროვნებაზე. ნახვამდის!

— ნახვამდის! გმადლობთ! გისურვებთ კარგ მადას!

— მადა კარგი მაქვს, მაგრამ... დანარჩენი აღარ გამიგონია. არ ვიცი: კიდევ სთქვა რამე, თუ მეტი არაფერი უთქვამს.

—:—

მივდიოდი და მის სიტყვებს რვეულში ვიწერდი. უცბად დავეჯახე მოქალაქეს. კატასტროფა არ მომხდარა.

— მოქალაქევ, წინ ვერ დაიხედავთ როცა ქუჩაში მიდიხართ?!—შევუტიე მას, როცა ვნახე რომ „დიდი ვინმე" არ იყო.

— უკაცრავად, მაგრამ გაზეთში ვიცქირებოდი! თქვენც ხომ... ბოლოში ვიხდი, მაგრამ წინ არ იხედებით? მგონი რაღაცას სწერდით!

— კი, მართალია... ის მიბრძანეთ—რა არის თქვენი პროფესია?

— როგორ გითხრათ; ჩემი ძირითადი პროფესია მასწავლებლობა გახლავთ, მაგრამ მოგეხსენებათ, რომ სოფლის მასწავლებლობას სოფლის ექიმბაშობა სჯობია. ამიტომ მასწავლებლობას თავი გავანებე და ეხლა ვარ

**საგზოთა მოსამსახური.**

— რას კითხულობდით გაზეთში ასე თავდავიწყებით?.. მაგრამ ამას თავი გავანებოთ: როგორია თქვენი შეხედულება შვებულებაზე?

— აი, სწორედ მაგის შესახებ ვკითხულობდი გაზეთში. თქვენ გენაცვალეთ, ერთი ეს წაიკითხეთ:



**ზაფხულობით ბევრი მიდის ქალაქიდან სოფელში. სოფელი გაივსება ქალაქის კულტურული ძალებით. თვითეულ შვებულებაში მყოფის მოვალეობაა უქმად არ გაატაროს თავისი შვებულება, არ დაიზაროს თავისი ენერგია და უნარი სოფლის გაკულტურებისათვის. სოფლად ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი.**

— ა, ბატონო, მოდი და წადი კაცმა სოფელში შვებულების გასატარებლად! სოფელს გამოვექეცი, იქ ვერაფერს გავხდი... და ეხლა კი ხედავთ რას გვავალებენ?! ვერ გამიგია სწორედ ეს ამბავი!ვი! შვებულება,მე მგონია, დასასვენებლად არის; თუ კი იქაც აღარ მოგვცემენ უქმად ყოფნის საშუალებას, რაღა გვინდა შვებულება?! ხვალიდან ვაპირებდი შვებულებაში წასვლას, მაგრამ რაკი ასეა, მგონი არ წავიდე.

—:—

წელანდელისებური მარცხი რომ კიდეც არ შემმთხვეოდა, იქვე ახლოს დაწესებულების კარებს მივადე რვეული და დავიწყე ჩაწერა.

ამ ფიქრებში ვიყავი, რომ უცბად თვალი მოვკარი:

**დარაჯი**

გამოვიდა გამგის კაბინეტიდან და იქვე კარებთან ჩამოჯდა ხის სკამზე; ხელში რაღაც ქაღალდი ეჭირა.

— მისი აზრიც საჭიროა!—გავიფიქრე და მივუახლოვდი. იგი დათვივით ბურდღულობდა და ნერვიულად ქაღალდს მუჭავდა.

— თუ შეიძლება...—სიტყვა არც კი დამასრულებინა, ცივად მიპასუხა:

— არ შეიძლება; გამგეს არ სცალია!...

— არა; მე სხვა რამეს გთხოვ... მე მინდა გავიგო თქვენი აზრი შვებულების შესახებ. მიცნობდეთ: მე გახლავარ „ტარტაროზი"-ს თანამშრომელი.

— ტარტაროზი?!? უკაცრავად!—და სწრაფად წამოხტა.—დაბრძანდით... ვენაცვალე ტარტაროზს. მარტო იმისიეშინია ჩვენ გამგეს, თორემ ადგილკომი ბუზად არ მიაჩნია... რაზე მეკითხებით?

— როგორია თქვენი შეხედულება შვებულებაზე?

— აი, შენი ჭირიმე, წაიკითხე ეს ჩემი განცხადება შვებულების შესახებ!

გამოვართვი და წავიკითხე მხოლოდ რეზოლიუცია, რომელიც განცხადებაზე ირიბულად იყო წარწერილი წითელი მელანით: „იშვებულებოს რამდენიც უნდა".

— რას ერჩით? კარგი რეზოლიუციაა! უარს არ გეუბნებათ!

— უარზე უარესია.. ამით იმას ამბობს, რომ საჭირო არა ხარო.

— იქნებ არ უნდა საკუთარი დარაჯი ჰყავდეს! ებრძვის ბიუროკრატიზმს და რეჟიმ-ეკონომიას იცავს!

— ვიცი რა შვილია! ერთი კი არა, ამას წინეთ ორი დარაჯი ჰყავდა: ერთი გარედ იდგა, მეორე—შიგ კარებთან. შიგ რომელიც იყო, მას თვალები კარებისაკენ უხდა ჰქონებოდა მიპყრობილი და ზურგი კი გამგისკენ შექცეული.

— რატომ?

— ხელი რომ არ შეეშალა თანამშრომელ ქალებთან „რაღაკუცუნობის" დროს. ბოლოს უფრო თამამად რომ ყოფილიყო, ერთი დარაჯი (შიგ რომ ჰყავდა) დაითხოვა და ღირსეულად დაასახელა რეჟიმ-ეკონომია.

— მაშ აწი რისი გეშინია? ერთი დარაჯი ხარ და ხომ ვერ დაგითხოვს?!

— ჩემი დათხოვნა უნდა, სხვა სურს მიიღოს ჩემს ალაგას, და იმიტომ წააწერა ასეთი რეზოლიუცია.

ამ დროს კარიდორში გამოჩნდა

**დამლაგებელი ქალი**

— თუ ჩემი არ გჯერათ, შეეკითხეთ ამასაც!—მითხრა და დამლაგებელ ქალს დაუძახა:—ფედია, მოდი აქ.

ქალი მოვიდა. მე შევეკითხე:

— როგორია თქვენი შეხედულება შვებულებაზე?

— შვებულება კარგია მაგრამ...

— რა „მაგრამ"?!

— ის „მაგრამ", რომ: თუ შვებულება სამსახურს იმსხვერპლებს, მაშინ იგი არვარგა.

— თქვენ როდის აპირებთ შვებულებაში წასვლას?




— ღმერთმა დამიფაროს! რა ღმერთი გამიწყრება შევებულებაში წავიდე?! ეს სამსახური რომ დავკარგო, ობლები სიმშილით დამეხოცებიან. მე უარი განვაცხადე შვებულებაზე.—სთქვა ეს და საჩქაროდ განგვშორდა.

— ჰოო!—თითქოს ნიშნის მოგებით მითხრა დარაჯმა.—ეხლა ხომ მიხვდით, თუ როგორი ყოფილა ჩვენი

ბამბუ?!

დარაჯის სიტყვები გამართლდა უხერხულ დროს შევედი კაბინეტში.



ცოდვას ვერაფერს ვიტყვი. ქალს მგონი შერცხვა—სახეზე სიწითლემ გადაჰკრა. მაგრამ, როცა ჩემი შესვლისთანავე კაბინეტიდან გამოვიდა, მე შევამჩნიე, რომ ეს სიწითლე სირცხვილის გრძნობისაგან კი არ იყო,—არამედ საღებავისაგან, რომელიც ხლომად წაეცხო სახეზე.

გამგეს ლოყაზე აჩნდა წითელი და მსხვილი რგოლისებური შემოხაზვა. მე, გულუბრყვილო რას მივხვდებოდი, თუ რისგან იყო ეს! ხოლო, როცა გამგემ დაღდასმული ლოყა მომარიდა და ცხვირისსახოცით მოიწმინდა სიყვარულის ბეჭდის დაღმა, მაშინ მივხვდი, რომ იმ ქალს ეკოცნა მისთვის.

— თუ შეიძლება გვითხრათ თქვენი შეხედულება შვებულებაზე?

— შვებულება ანუ იგივე კომპენსაცია ჩემთვის...

— უკაცრავად, მე შვებულებაზე მოგახსენებთ და არა კომპენსაციაზე!

— ჩემთვის შვებულება და კომპენსაცია ერთი და იგივეა. მე წილხდომილ შვებულებით არასოდეს არ მისარგებლია,—კომპენსაცია მირჩევნია.

— კი მაგრამ კომპენსაცია ხომ აკრძალულია?!

— ჰმ! „ოი წმინდაო გულუბრყვილობავ“. აკრძალულია დაბალ მუშა-მოსამსახურეთათვის, თორემ ჩვენებრ დიდ...

— კანონი ხომ ყველასათვის ერთია?!

— კანონს აქვს შენიშვნა და შემოსარები. მაგალითად აი ასე: მე მინდა კომპენსაცია მივიღო, რადგან ფული მჭირია. მივდივარ ცენტრის მივლინების ფულსაც ზორბად მივიღებ და თანაც ცენტრს ვარწმუნებ, რომ ჩემი შვებულებაში წასვლით, წარმოება იზარალებს. ცენტრი ძლიანხმება და მე ვღებულობ კომპენსაციას.

— კი მაგრამ, ხომ უნდა დაისვენოთ? ჯანმრთელობა რომ დაკარგოთ, ხომ უფრო იზარალებს უთქვენობით წარმოება?!

— რა თქმა უნდა! აბა რომელ გამგეს შეუძლია მთელი წლის გაჭაჭანობაში იმუშაოს?! მოხერხებული კაცი ყველაფერს გააწყობს: ან თავს მოიავადმყოფებს, ან დაწვდება საავადმყოფოში ნაცნობ ექიმის შემოწმებით „ჩაიბარებს“. ასე, რომ თქვენ ჩვენზე ნუ გექნებათ. დარდი.

— სხვას კიდევ რას გვეტყვით?..

— თითქმის არაფერს. თუ კიდევ გინდათ რამე ცნობა, ინახულეთ აი იმ ოთახში ჩემი

## პირადი „სეკრეტარშა“.

შევედი ოთახში. მივმართე ქალს, რომელიც წეღან გამგის კაბინეტში იყო:

— თქვენ გამგის პირადი ძლიერი ბრძანებით?

— პირადი „სეკრეტარშა“.—გამისწორა „შეცდომა“.

— დიახ! ეს სულერთია...

— არაფერი სულერთი არ არის, მდივანი სხვაა და „სეკრეტარშა“ სხვა. „სეკრეტარშა“, ანუ სეკრეტის მცოდნე, ე. ი. მე ჩვენი გამგის ყოველივე სეკრეტი ვიცი. ამიტომაც ვარ მისი „სეკრეტარშა“.

— მე მინდა გავიგო თქვენი აზრი შვებულების შესახებ.

— მე შვებულებაში მივდივარ ჯერ-ჯერობით ორი თვით: ერთი თვე—დაწესებულებიდან; მეორე კი—„სტრახკასიდან“.

— ავად ხართ?

— არა, მაგრამ ნაცნობმა მომიხერხა. დიახ! ძალიან კარგია შვებულება. კარგ დროებას გავატარებთ აგარაკზე. ჩვენი გამგეც იქ მოდის.

— ალბად ცოლ-შვილი იქ ეყოლება!

— არა, ცოლშვილი სხვაგან ჰყავს. ცოლშვილთან კაცი რა დროებას გაატარებს?!

— ა, ბიჭო, დასაჭერი ხალხი!—გავიფიქრე ჩემთვის და ამ სიტყვებმა მომაგონეს გამსახლი, სადაც მრავალთან ერთად იჯდა ერთი ცნობილი

## რეციდივისტი-სიმულიანტი.

— ვაჰხ, ვაჰხ! ამას ვისა ვხედავ?! შვილოსა, შენაც გატუცია თავი ვირის აბანოში? რითი ხარ ეხლა ჩემზე უფრო პატიოსანი?—მომაძახა შესვლისთანავე რეციდივისტ-სიმულიანტმა და გადიხარხარა.

— უკაცრავად! თქვენ ცდებით!.. მე იმისათვის მოვედი, რომ გავიგო, თუ თქვენ როგორი უცქერით შვებულებას.



— აი აგრე!—და ცალი თვალი დახუჭა მეორეთი კი ეშმაკურად შემომხედა.

— მე თქვენ არ გეხუმრებით! მითხარით თქვენი აზრი შვებულებაზე!

— იმის მომგონის დედაც მოვა ტყიბულიდან. შვებულებამ ამომაყოფინა თავი აქ.

— როგორ? მარშრუტი ხომ არ შეგშლიათ?!

— მე კი არა, სხვას შეეშალა. ყალბი ქაღალდებით მინდოდა, რომ დამზღვევ სალაროს გავეგზავნე დასასვენებელ სახლში... მაგრამ დასასვენებელ სახლის მაგიერ გამსახლში გამომგზავნეს.

— არა უშავს! აქაც ხომ ისვენებთ! გარდა სხვებიც მოსვენებული არიან თქვენგან. მარშრუტი სწორია—თავის ალაგას მოსულხართ!

შუადღეზე მასალებით ტარტაროზს ჩავაბარე.

— ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ჩვენ გვაინტერესებს ჩვენი ემიგრანტების აზრი შვებულების შესახებ.

— კი მაგრამ ეს ხომ შეუძლებელია? პარიზში როგორ წავიდე?! ან როდის მოესწრება?!

— აიღე ფანქარი და რვეული!—მითხრა ბრძანების ყილოთი ტარტაროზმა. მე შევასრულე მისი ბრძანება და ცოტა არ იყოს, კიდეც მეწყინა.

— ვაჰ! გიჟია ეს ოხერი!—გავიფიქრე და ფიქრი არც კი მქონდა დასრულებული, რომ ტარტაროზმა ცხვირს დააცემინა (დააცხინკვა) და...

მე პარიზის ქუჩაში აღმოვჩნდი.

გულს ბაგი-ბუგი გაჰქონდა მოშლილ მატორივით. კარგა მოზრდილი კენჭი გადავყლაპე მის გასამაგრებლად. თავი სიზმარში მეგონა, და მაშინ გამოვერკვი, როცა ჩემთან მოვიდა ერით ჩვენი

## ემიგრანტი

— გეტყობათ: თქვენ ქართველი ხართ ად ისიც ახალ ჩამოსული!?—მითხრა მან.

— თქვენ მართალს ამბობთ!—

— ალბად თქვენ ჯერ საჭმელი არ გიჭამიათ, გშიათ... წამობრძანდით კაფეში.

დავეთანხმე. წავედით.

— იშოვნე ლუკმა? ერთს მაინც გამოგაძღებს და ერთ ყვერას გეყოფა. მეც წამოვალ!—გადაუჩურჩულა გზაში მეორე ემიგრანტმა, რომელიც აგვეკვიატა.

— ჯერ დაიცადე; მერმე შემოდი. თუ არ მოეწყო ნუ გეშინია: შენს მაგიერადაც ვჭამ და გამოვძღები!—ჩაუჩურჩულა ჩემმა მხლებელმა.

კაფეში დავჯექით. მოვითხოვეთ.

— ალბათ დიდ საქმისათვის გარჯილხართ?

— არც იმდენი... მე მინდა გავიგო თქვენი შეხედულება შვებულებაზე.

— ე. ი. როგორ? რომელ შვებულებაზე ამბობთ? შვებულება ხომ ორ გვარია: **დროებითი** და **უვადო**. დროებითი შვებულება არის, აი ის, რომელსაც მუშა-მოსამსახურენი ღებულობენ დაწესებულებიდან. ხოლო უვადო შვებულება კი...

— თქვენ ამბობთ სამსახურმოხდილ წითელარმიელების უვადო შვებ...



წითელარმიელის ხსენებაზე, ემიგრანტს შიშისაგან ლუკმა ყელში გაეჭედა; დიდი ვაი-ვაგლახით ძლივს-ღა ამოაგდო და რბილი ადგილის ფხანა დაიწყო. (ალბად მოაგონდა ოცდა ერთი წლის პანღური).

— არა,—განაგრძო მან და გამოვარდნილი ლუკმა ისევ გადაყლაპა—უვადო შვებულება ჰქვია ისეთ შვებულებას, რომელსაც თავი უჩანს და ბოლო კი არა. აი ასეთ უვადო შვებულებაში აგერ მეშვიდე წელიწადია, რაც ჩვენი „დემოკრატიული მთავრობა". იმყოფება.

როცა მან ეს დაასრულა, მე რაღაც ძალამ გამაქროლა და თავი ამოვყავი ვერის დაღმართზე.

—:—

მიასვენებდნენ.

ტრამვაი შეჩერდა.

გადმოვხტი და ვიკითხე:

— ვინ არის ეს

## მიცვალებული?

— ეს გახლავთ ფოსტალიონი. გუშინ გარდაიცვალა.

— კი მაგრამ ასე მალე რატომ ასაფლავებთ?!

— თვითონ მისი სურვილი იყო; დაიბარა:—მეორე დღესვე დამასაფლავეთ; იმ ქვეყნად მალე მინდა მივიდე; იქ მაინც გავიხარებო.

— დაასვენეთ; ალბათ მისი მოკეთეა!—დაიძახა ვიღაცამ და კუბო მიწაზე დადგეს.

კუბოს სახურავი ახადეს. მიცვალებული წამოაყენეს, და მე გამოვკითხე:



— უკაცრავად ვარ შეწუხებისათვის, ძალიან თუ შეიძლება გვითხარით თქვენი შეხედულება შვებულებაზე?

— რა უნდა გითხრა, მეგობარო, როცა მე იგი არასოდეს არ გამომიცდია! მთელი ჩემი ცხოვრება ძუნძულში გამიტარებია. ერთხელაც არ ვყოფილვარ აგარაკზე. აი ეხლა მეღირსა **მუდმივი** შვებულება და აგარკზედაც მივდივარ.

— რომელ აგარაკზე: წაღვერში თუ ბაკურიანში?

— საიქიოში—სამოთხეში. მე მეჩქარება, და თუ კაცი ხარ ნუ მომაცდენ, ნუ დამაგვიანებ!—ეს სთქვა მიცვალებულმა, ისევე ჩაწვა, გულზე ხელები დაიკრიფა და განკარგულება აგსცა:—აბა, სახურავი დამაფარეთ და ჩქარა გამწიეთ, თორემ დავგვიანდი.

კუბო მხრებზე გაიდვეს და წაიღეს.

— მშვიდობით სამუდამოთ! კეთილი გქონდეს მგზავრობა!—მივაძახე და თანაც მის სიტყვებს რვეულში ვიწერდი.

— ნახვამდის!.. ვიცი, რომ მშვიდობიანი მგზავრობა მექნება, რადგან რკინის გზით არ ვაპირებ წასვლას.

— რატომ ნახვამდის?! ჩვენ აწი ერთმანეთს ვერასოდეს ვერ ვნახავთ. შენ მკვდარი ხარ!—წყრომით მივაძახე.

მიცვალებულმა ცალი ხელით კუბოს სახურავი ასწია, გადმომხედა და დაცინვით მითხრა:

— მართალია: მე მკვდარი ვარ—აწი მე ამ ქვეყნად არასოდეს აღარ დვბრუნდები... მაგრამ შენც ხომ მოკვდები?! აი იქ დაგხვდები და როცა მოხვალ, ალბად, ერმთანეთს ვიცნობთ. შენ გაგიჭირდება ჩემი ცნობა, რადგან მე იქ აგარაკზე გავსუქდები, მაგრამ მე გიცნობ შენ, რადგან ასეთივე გამხდარი გვესტუმრები იმ ქვეყნად. დიახ! ეს არც ისე გვიან მოხდება. ჩემი სიკეთის არა იყოს, შენც გამხმარ ფარგას დამსგავსებიხარ!

როცა რედაქციაში მივედი, ცუდ ხასიათზე ვიყავი. ტარტაროზმა მიზეზი გამომკითხა. მეც ყველაფერი ვუამბე. ბოლოს მას გავაცანი შვებულების შესახებ

## ჩემი შეხედულება

— ამხ. ტარტაროზო, მართლაც რომ არ აშისრულდეს იმ მიცვალებულის სიტყვები, ამდენი ხანია მპირდებით და პირველ აგვისტოდან მაინც გამიშვით შვებულებაში! ხოლოდ ერთი პირობით: **ჩვენმა კანტორამ ნაღდათ უნდა მომცეს შვებულების ფული...** „წადი და მერმე გამოგიგზავნით"-ო ეს მე არ მჯერა, არა მწამს. (აქა ვარ და—არაფერს მაძლევს; წავალ და, რა შვილი რამეს გამომიგზავნის?!).

ისელი.

სურ. ტაბატაძის



**ზამზე** (რომელსაც საქმე არა აქვს და იკადრა დარაჯთან გალაპარაკება): **ხვალ ავტო სახლში ადრე მომიყვანე. ექიმების რჩევით, კისლოვოდსკში ვაპირებ წასვლას. სიმსუქნე მაქვს და ცოტა უნდა გავხდე, თორემ სახიფათოა.**

**დარაჯი:** მე ვიცი კარგი საშუალება, მაგრამ ვერ გამიბედნია.

**ზამზე** შე დალოცვილო, რა დღისთვის ინახავ? თუ რამე იცი, მასწავლე და სამაგიეროთ...

**დარაჯი:** აი, თქვენი ჭირიმე, — თქვენი ჯამაგირი მე მომეცით და ჩემი ჯამაგირი თქვენ წაიღეთ. აბა, ნახეთ, ერთ-ორ თვეში თუ ჩემსავით არ გახდეთ!

# „ბახ-მარო"*)

## საავარაკო ოროლ-ტრიალი ორ სანახაობათ

### მოქმედი პირები:

ქრისტეფორე—სახლების პატრონთა ბიუროს თავმჯდომარე.

ისიდორე—სპეცი. მოაგარაკე.

ზევარიკა—გურული გლეხი.

ქსენია—მისი ქალი.

მასწავლებელი.

ფიჩორია—მეგრელი. მეჯოგე.

*) ეს წერილი დაწერილია გასულ წელს. მიუხედავად ამისა, იგი მაინც არ ჰკარგავს თავის ღირსებას, რადგან (მგონი) ისეთივე მდგომარეობაა წელსაც როგორც შარშან იყო.

რედ.

### პირველი ნაწილი.

(სახლების პატრონთა ბიუროს ოთახი. სცენაზეა ქრისტეფორე).

**ქრისტეფორე** (წერას ათავებს): გენაცვა სულში, რა ლექსი გამოვთქვი!

„მე ვარ სახლის პატრონთა ბიუროს ჩლენია,
მდგმურებო ფული დაყაჰე, პირი რომ დაგიფჩენია"...

გამოდის ისიდორე. ახლად ამოსულია ვაკეჯვრის გზით, სადაც ძარცვა მოხდა.

**ისიდორე:** ნუ ჩტოი! სამასი წაიღეს, ათასი დამრჩა...

**ქრისტ.:** მობრძანდი ბატონო, დაბრძანდი!

**ისიდ.:** რაღა დაბრძანდი, წამართვეს, გამძარცვეს...

**ქრისტ.:** თქვენც გაგძარცვეს, ბატონო? ღმერთო მომკალი...

მერე და რომ დეიჭირონ, რომელი მუხლის ძალით დასჯიენ მაგენს?

**ისიდ.:** მე რომ მთავრობა ვიყო, მაგათ მუხლებს არ მოუძებნი, ისე დავხრეტ... ისე, მაგენი უნდა დაისაჯონ

სურ. დონის



**ტფილისელი ბაღლინჯო** (ბორჯომელს): როგორ გამხმარხარ, ჩემო მეგობარო!? გეტყობა ცუდათ იკვებები!

**ბორჯომელი ბაღლინჯო**: გავხდები მა რა იქნება! სახლის პატრონმა იმდენი გადაახდევინა ბინის ქირა მდგმურებს, რომ საწყალს სახარჯო ფული არ აქვს... და რაღა სინდისი მომცემს, მე კიდევ გამოვწოვო სისხლი!

---

სამას სამოცდა ხუთი წმინდა გიორგის... ფუი ეშმაკს, სამას სამოცდა ხუთი პუნქტის ძალით. ეს უდრის დაჭერეტას, ჩამოხრჩობას და მერე საიქიოში უვადო გადასახლებას. (სიჩუმის შემდეგ) ოთახი მინდა, თქვენ ხართ, ვგონებ, ბიუროს წევრი! რა ღირს ოთახი ნიხრის მიხედვით?

**ქრისტ.**: ნიხრის რა მოგახსენოთ, სახლის პატრონზეა დამოკიდებული. ნიხრი გამოცხადებული კია, მარა ვისაც რაფერ უნდა, ისე აქირავებს.

**ისიდ.**: მაშ თქვენი ბიურო რის მაქნისია?

**ქრისტ.**: მაქნისობაზე არაა საქმე. ჩვენ აგვირჩიეს ნიხრი გაატარეთო, მარა ნამდვილად არაკაცი გვიჯერებს. (შემოდის გურული გლეხი ზევარიკა ცალიერი ხურჯინით და თავისი ქალით).

**ქსენია**: (ისიდორეს): ზდრავსტუიტე: თქვენს აქა ხართ?

**ზევარიკა**: ზრასტიტი მომიკითხე აქანაი კიდომ! მე კუჭი ხარხაში მაქ ამოსული და აგი კიდომ ზრასტიტის მიძახის. შენი ბრალია ჩემი ასე გაჯახირება! დეიჩემა:— ერთი თვის ოპუსკი მომცეს თიფლისიდან, ქალი ლეგისტრატორში ვარ: სადაჩოთ უნდა წევიდეო. რა შობი ახლო ხკინწკი რომ აღარ დაგიტია მაგ ყაზილარმა? დიეგდე აქახაი და ყლაპე ცარიელი ვოზდუხი!

**ქრისტ.**: შენც გაგძარცვეს ზევარიკავ?

**ზევარ.**: გამძარცვეს კუტავ კი არა, ღდინძ გამიღლიტეს; კუდის რიკამდი გამატყავეს.

**ისიდ.**: რა უყოთ, მოსავალია.

**ზევარ.**: ამისთანა მოსავალი თქვენს მტერს ჰქონდეს, ბატონო, რაცხა ორი კაპეიკი მქონდა,—წამართვეს, გამატყაპუჩეს და ახლა ქე ვარ გამოხინკილებული. (შემოდიან მასწავლებელი და ფიჩორია).

**მასწ.**: მე, როგორც პედაგოგი, ვამტკიცებ, რომ ძარცვა, თუნდაც პედაგოგიური თვალსაზრისით, ასი პროცენტით მიუღებელია.

**ფიჩორია**: შენ გენაცვალე სულში, ჩემო აფხანაკო პატენი! მაგისთანა სიმართლე კაი ხანია, აღარ გამიგონია.

**ისიდ.:** შენც გაგძარცვეს ძმობილო?

**ფიჩ.:** წამართვეს, თქვენ ნუ მოუკვდები საწყალ ფიჩორიას. იმისთანა გოსხაპიე ბიჭები იყო, რომ ვერაკაცმა ვერ გაუბედა დაძვრა. მე იგი მწყინობს, რომე იგ პატიოსანი უჩიტელიც ზეთ მიაყოლეს. სადა აქვს ახლა ამას ამდენი ჯამაგირები?

**მასწ.:** წაილეს მთელი თანხის ასი პროცენტი.

**ზევარ.:** ქე წუულიენ კაი ბლომათ (მიუბრუნდება ქრისტეფორეს). სად ჰქონდა ამ საწყალს ასი მანათი? მაი იტყუება, თვარა ასი მანათი წელიწადში არ ექნება ჯამაგირი.

**ქსენია.:** კონტრაბანდუ მოუნო დასტად? მე მინდა ლორიგან კოტი და ფილთიკოსი.

**ზევარ.:** ვინაა, ცაუ ლორიგან კოწიე და ფინთიკოზაი? რა გეკოწიება ამ დასაქცევში..

## მეორე ნაწილი

**ისიდ.:** როგორ მოგწონთ, ქალბატონო, ბახმარო?

**ქსენ.:** ჩუდნი რამეა, მხოლოდ ნიმნოშკო მოუწყობელია. ტაროსია ცუდი.

**ქრისტ.:** რაიო—ციცავ, ტარასიე ამევიდა?

**ქსენ.:** არა პაპა. ჩვენ სხვაზე ვლაპარაკობთ.

**ზევარ.:** (ქრისტიფორეს) დასწყევლოს ღმერთმა აი გოგოები! თიფლისში წასვლამდი ბაბას მიძახოდა, მერე მამას. ახლა მამას დედამისს უძახის. მე—პაპას. გაისად ეგება ტიოტია დამიძახოს. ამფერი სტავლა ალო გამიგონია.

**მასწ.:** (შემოდის) დასწყევლოს ღმერთმა, სამი მანეთი ოცდა ე ოში წავაგე!

**ზევარ.:** რამდენი შეიმატე ბატონო?

**მასწ.:** დავიკელი ოცი პროცენტი.

**ზევარ.:** (ქრისტიფორეს): აი საწყალი მთლად არ დალეულა!? ოცი გირვანქა თლათ არ გამევიდოდა და იგიც ქე დუუკლია!

**ისიდ.:** ძილი კარგი გაქვთ, ქსენო?

**ქსენ.:** კაკოე ტამ! არ მაძინებს ხრაგუნი.

**ისიდ.:** რა ხრაგუნი?

**ზევარ.:** რა ხრაგუნი, ბატონო, და ბრიგინ-ბრიგინს რომ უძახიენ. რავარც დაღამდება მოვა ხარი, ძროხა, ცხენი და სხვაი პირუტყვი და დილამდი გვერდს აფხანს ჩვენი სახლის ღოჯეს. სიცივეში ბალკონში მოვლიენ და თელ ღამეს გულაობენ.

**ისიდ.:** მინდოდა მეკითხა, როგორ არის გზების შეკეთების საქმე.

**ზევარ.:** გზაის კითხვა ასეა, ბატონო: გზაი ბევრია, მარა არც ერთი არ ვარგა. ღაკლუპრეულები იძახიენ ჩვენ გზაი კაია; ასკანლები თავს იკლავენ—ვანის ქედის გზაი ჯობიაო; ხიდისთაველები ქვეყანას აქცევენ—ჩვენია საუკეთესოვო, აბა ნაბეღლავას ნუღარ მკითხავ...

**ისიდ.:** მაინც, რომელი გზა სჯობია?

**ზევარ.:** ვითამ ნაბეღლავისაა უკეთესი. იძახოდენ—ურემი უნდა გავაროხიოთო, მარა ურემი ნაბეღლავამდე ქე ჩავა ბახმაროდან, მარა მერე ჩოხატაურამდი ზურგში უნდა მეიკიდო ურმიან ნიქვთებიანა.

**ისიდ.:** რატომ?

**ზევარ.:** იმიტომ, რომ ჩოხატაურიდან ნებაღლავამდი არაა საურმე გზაი გაკეთებული.

**მასწ.:** გზას თავი დავანებოთ, რძე რომ არ იშოვება ამ ბახმაროზე!

**ისიდ.:** რძე არის, მაგრამ წყალიანია.

**ზევარ.:** წყალიანს ვინ ჩივა, მარა, სუფთა წყალიც არ უნდა იყოს,—რაცხა ისე ვატყობ.

**ისიდ.:** პურიც საშინელია.

**ქსენ.:** არც ხორცია ხეირიანი.

**ისიდ.:** სისუფთავე არ მომწონს.

**ზევარ.:** სისუფთავე კი მომწონს, მარა სადაა? ორმოც რაცხას რომ აკეთებენ,—ამ ფეხისალაგებს უშველონ რამე, ზოგს სახურავიც არა აქვს და ზოგს კარი. სირცხვილით ქე ვარ აი ბერიკაცი გამოყერყეჩებული სალამომდი. აი ვადაპრავოზიც არ ვარგა, არ ყოფნის ხალხს.

**ისიდ.:** კოოპერაცია მოისუსტებს.

**ზევარ.:** სადაა, ბატონო, კომპერანტიე?! წაგების ეშ-

სურ. სურკალახი.



ასე მიდის შვებულებაში გამგე



ასე მიდიან უბრალო მომაკვდავნი



და ასე მიდის ის, ვინაც ფული ვერ მიიღო, ანდა მატარებელზე დარჩა

ნია და ველარ ამევიდა. ერთი გახრეკილი კომპერანტიეს დუქანია; ფიჩქა არაა შით. ნაფთი, შაქარი და ზაფრანაი...

**მასწ.:** ვაი მუცელი... დღეს რომ პური გამოაცხვეს,—ტალახი იყო პირდაპირ... ტალახი..

**ყველა** (მუცელზე ხელებს იტაცებენ):

ალლარს-ალლარხან.

# ფუნიკულერის ბაღში

სურ. შმერლინგის



— სად მიხვალ, ბიჭო?

— ავლაბარში.—მივუგე მე.

— მაგას კი არ გეკითხები; ამ ზაფხულს სად მიხვალ მეთქი საკურორტოდ?

— თქვენსავით „ბურჟუა“ ხომ არა ვარ კურორტებზე ვიარო? შვიდი ოდე წლიწადი იქნება ავლაბარში ჩასვლა მინდა,—და, აი, დღეს ძლივს მოვახერხე. თქვენ კი ისე მიმოსეირნობთ მოსკოვში, ლონდონში, თითქო ავლაბარზე ახლო იყოსო. აბასთუმან-კისლავოდსკ-წაღვერ-ბორჯომ და ათასგვარ კურორტებში ხომ სულ ჭიანჭველასავით ირევით.

— ხუმრობას თავი გაანებე; სად მიხვალ ამ ზაფხულს?

— შენი თავი მომიკვდეს, თუ ვიცოდე. თუ გინდა ავლაბარზე ხელს ავიღებ და ამ წუთას წავიდეთ ფუნიკულიორის კურორტზე.

— წავიდეთ.

მოვბრუნდით უკან.

წამოვედით და წამოვიყვანეთ თან ჩვენი ახალგაზრდა მეზობელი ქალი ნინელი, რომელიც ფურნიდან ახლად გამოღებულ პონჩიკსა ჰგავდა.

— ღმერთმა ააშენოს ფარნიევის ოჯახი, იმან გააკეთა ფუნიკულიორის წინ ბაღი, სადაც აუარებელი ხალხი სუფთა ჰაერსა სუნთქავს და ისვენებს ქალაქის ორომტრიალს გარიდებული.

შევედით ბაღში.

— ეს რა ამბავია?—მეკითხება ნაცნობი. თელეთობაა, თუ ალავერდობა?

— რის თელეთობა! კურორტია ვერა ჰხედავ?—უპასუხებ მე.

— სადრაკ!—ჰყვირის ერთი ბიჭი ბაღის თავში. სადრაკო რომ ხმას არ აძლევს. ის უფრო ძალიანა ყვირის, და თანაც ისე იგინება, რომ ჩვენი ლამაზი ნინელი ყურებში თითებს იჭობს.

ყველაზე კარგად, მკაფიოდ და გარკვევით ისმის სეირნობის აკომპანიმენტი—ლანძღვა - გინება.

უცბად მოისმა დაფა - ზურნაც შორიდან, და ცოტა ხნის შემდეგ დუდუკის ხმაც გავიგონეთ.

— ვა, საქორწილოდაც აქეთ მოდიან!? — იკითხა ამხანაგმა.

— ჰო, ეს მეტად ბედნიერი ალაგია. ამისთანა ამბავია ყოველღამ.

დაფა - ზურნა ჯერ დიდ ბაღში შევიდა; იქ დაუკრა ერთი შიქასტა და, რაკი ხალხი ბევრი იყო და იქ ლეკურის თამაში არ შეიძლებოდა, ფეხი აინაცვლა ზემოდ პატარა ბაღში და... გაიმართა ცეკვა - ნავარდი.

ითამაშა და თამაშობა აღარ გაათავა ერთმა ახალგაზრდამ, რომელიც ფეხებს ჰაეროპლანის პროპელერივით ატრიალებდა და ისეთი მტვერი დააყენა, რომ გეგონებოდათ: ელბაქიძის აღმართზე გრუზავიკის ავტომობილმა აირბინაო.

— წავიდეთ, ძმაო — მითხრა ამხანაგმა.

— მოიცა ცოტაც; მოსულხარ კურორტში, ერთი ორი კვირით მაინც აღარ დაჰრჩები! და უცბად ვიღაც ბიჭს მხრებზე შეუსვამს ბიჭი და ფეხდგომილა — ფეხდგომელას დაარბენინებს.

— უყურებ? — ვეუბნები ამხანაგს. — აქ ცირკიც არის. — და სწორედ ამ დროს ამ „ფოკუზნიკმა“ ვიღაცას ფეხი წამოჰკრა და თავისი „ფოკუსით“ ჩვენს წინ გაიშხლართა.

აქ უკვე ველარ მოვითმინე და დემონსტრატიულად დავსტოვე „კურორტი“. ხოლო პროტესტის წერილი მივართვით მილიციის უფროსს ამხ. ხმალაძეს:

**ამხანაგო ხმალაძე!**

**რა იქნება ერთი კოჭლი, ან ბრუციანი მილიციელი დააყენოთ ფუნიკულიორის ბაღში, რომ დაიცვას ადამიანური წესრიგი.**

ვნახოთ, თუ შეგვისრულებს თხოვნას.

**ფეშანგი ფაშვიბერტყაძე.**

## მშვიდობიანობის „მესაფლავე“ *)

„ინგლისი ცდილობს გერმანია მოაქციოს თავისი პოლიტიკის სფეროში“.
„ჩემბერლენი აპირებს ბერლინში წასვლას“.
(დეპეშებიდან).

სურ. მარიაშის



**ჩემბერლენი** (გერმანიას):
„დავივიწყოთ ის წარსული ხატირალი, ხავალალო და ახალი ყოფა შევქმნათ—გამომყევი ცოლათ, ქალო“.

*) თქვენ გაიკვირვებთ: სად ჩემბერლენი და სად „ტარტაროზი“-ს სპეციალური საავარაკო ნომერი! მაგრამ შეცდებით. ჩემბერლენი ბერლინში მიემგზავრება დაავათმყოფებულ ევროპის დასნეულებულ პოლიტიკის სამკურნალოთ; ასე, რომ შეცდომა არაფერია.

**) იგულისხმება მსოფლიო ომი, როცა ინგლისი და გერმანია ერთმანეთს ებრძოდენ.

## იშპილ

— სიცხეები დაიწყო, ჩემო კარგო! —ეუბნებოდა ცოლს გამხდარი, მისუსტებული ქმარი—ბიძინა ჭამაძე.— აგარაკზე უნდა წავიდეთ ორივე?, მაგრამ რომელი უფრო გვარგებს ხომ არ იცი?

— ჩვენ ორივეს ერთი აგარაკი არ მოგვიხდება. შენ სულ სხვა აგებულობის ხარ, და მე კი სულ სხვა. მე მომიხდება ბახმარო, ხოლო შენ კი ბორჯომი!—უთხრა ცოლმა, რომელიც სისხლ-ხორცით სავსე იყო.

— კი მაგრამ, ერთმანეთს როგორ დავშორდეთ ამ ხნის განმავლობაში? რაც იქნება იქნეს; მეც ბახმაროზე წამოვალ!

— რა სისულელეა, გენაცვალე!? სადაც მოგიხდება, იქ უნდა წახვიდე. ჯერ ვენახვოთ ექიმს, აი ჩვენი კარგი ნაცნობი სოსო რომ არის, გამოვკითხოთ მას ყველაფერი; შეიძლება მე არ მაწყენს ბორჯ..მი და მეც იქ წამოვალ. ერთი სიტყვით, როგორც მან დაგვარიგოს, ისე მოვიქცეთ! —

ქმარი დაეთანხმა ცოლს.

ექიმი ნაცნობაძე ქეთოს (ჭამაძის ცოლის) მართლაც კარგი ნაცნობი იყო. ქეთომ შუადღემდი მასთან დაჰკრა და საქმეც მოაგვარა:

— ხვალ მე და ჩემი ქმარი მოვალთ შენთან, ჩემო ბიჭიკო. გვირჩიე: მე ბახმარო, მას კი ბორჯომი. არ მინდა მასთან ყოფნა. სახლშიაც მეჯავრება. გეგონება სული ახლა ამოხდებაო. შენც ხომ ბახმაროზე იქნები!?! რა ... აბა შენ იცი.

მეორე დღეს ჭამაძეს კაბინეტში ეუბნებოდა ექიმი სოსო:

— დიახ! კუჭის ტკივილი გაქვთ და აუცილებლად ბორჯომი გინდათ, თორემ მერმე საქმეს ვერ უშველით.

— კუჭი მე ძალიან ხალი მაქვს!?

— ტყვილა გგონიათ! დამიჯერეთ მე, თორემ ინანებთ.

დაღვრემილი გამოვიდა ჭამაძე.

— რა იყო! რა გითხრა!—შეეკითხა მისაღებ ოთახში ცოლი, რომელიც ეხლა უნდა შესულიყო ექიმთან.

— ბორჯომიო!—ძლივს ამოილუღლუღა ჭამაძემ.

— კარგი; გენაცვალე! მე იქ წამოვალ; ექიმს მოველაპარაკები!— და შევიდა ექიმთან.

ექიმმა გულმოდგინეთ „გასინჯა“ ქეთო და „გასინჯვის“ შემდეგ ქეთო ისევ მისაღებ ოთახში გამოვიდა ქმართან, ექიმიც თან გამოყვა.

— რაო?—მაშინვე მიაძახა ქმარმა.

— ბახმაროო!—თითქოს მოწყენით უთხრა ცოლმა.

—„ როგორ არ გრცხვენიათ,—შეგნებული ხალხი ხართ და ეს ვერ გაგიგიათ? როგორ ბავშვებივით იქცე-

ვით! რა არის ორი თვით ლაშორება? ეს ხალხი სამუდამოთ შორდებიან გრომანეთს და სხვასთან იჭერენ კავშირს! თუ ჩემი დარიგება არ შეასრულეთ, მერმე რაც მოგივათ ორივემ თავს დააბრალეთ!—და ექიმი შევიდა კაბინეტში.

ცოლ-ქმარი სახლში წავიდა.

— რაო რა გითხრა! — საცოდავათ შეეკითხა გზაზე ჭამაძე ცოლს.

— მე რომ წამალი გამოგიწერე, იგი ყოველ დილა-სალამოს უნდა მიიღოო... შენ რა გითხრა?

— დღეში 4—5 ვედრო ბორჯომის წყალი უნდა სვაო!

ქეთო და ექიმი სოსო ბახმაროზე არიან. ხშირად დადიან საყორნიის მთაზე. ქეთო გამოწერილ წამალს სისტემატიურად ღებულობს.

კიდევ უფრო მოკეთება დაეტყო.

ჭამაძე კი ბორჯომში ზის წყაროსთან და განუწყვეტლივ სვამს ბორჯომის მჟავე წყალს.

პ. ობოლი.

---

## „ტარტაროზი“-ს შემდეგ ნომერში გამოცხადებული იქნება კონკურსი

---

## კურორტის კაცი



---

## „დაჩა“ და ოსეფა

— აი წაწყდეს ჩემი ცოდვით ვინც რომ ეს დაჩაზე ცოლების გაგზავნა მაიგონა და ჩვენისთანა ჰარიფი ხალხი ხათაში ჩააგდო.

ვა, ქრისტიანებო, ერთი გამაგებინეთ ქვეყანა გადაირია, თუ მე გავგიჟდი? ამტოლი ხანი ქალაქში ვცხოვრობ, ქვეყნის ადათი და მარიფათები სულ ზეპირათ ვიცი, ყველაფერი მინახია და გამომიცდია, მაგრამ ასეთი ზაჰრუმალი რამეები მაინც არ გამიგონია!

ამ დაჩობანაზე გებნები რაღა, რომელიც რომ ეხლა მოდნათ შამოვიდა და ჯიგარში ცეცხლი გაგვიჩინა! ვა, მე იარმუკელი სირაჯ ოსეფა და დაჩები? კისლავოცკა და აბასთუმანი? ე-ე-ე ჭკვაზე მოდი რაღა, ჟამანაკები დაალაგე, რაზუმენია ქენი: დაჩა კი არა, წინათ თელეთობას, ან წყნეთობას რომ წამეყვანა ჩემი ცოლი შუშანა, ისიც დიდ საბიტიათ მიაჩნდა:

— ოსეფჯან, დიდი მადლობელი ვარ, რომაო ხალხში გამიყვანე, მარაქაში გამრიე და ქვეყნის ავ-კარგი მაჩვენეო!

— მეთქი, ეხლა წამიყვანიხარ, ჰამა იცოდე ეს პასლედნია, შენ იქ ჩერესჩურ ბევრს იცინოდი, ჰამაც აქეთ-იქით იყურებოდი, ალბათ კავალრებს ათვალიერებდი, გულში ალბათ რაზბონიკობა გაქვს, ჩემი ღალატი გინდა მეთქი!

— უი, რას ამოფ ქაა. ბარემ მიწა გამისქდეს, პირშავი და ბუზურაზი გავხდე, კანც მაგისთანა ფინთი რამე ვქნა! კავალრები და აქეთ-იქით გულაობა როგორ შაიძლება? ჰამაც თუ მაგისთანა რევნივი ექვები დაგებადება, თოლ სახლში დავრჩები, არსად წავალ, ოღონდ შენ არაფერი გეწყინოს!.

ასე მებნებოდა ხოლმე შუშანა,—მააშ!? აფსუს, რა დროება იყო!... სულ ჩემ ნებაზე დადიოდა, მეც როცა ჰიშტა მამივლიდა, ისემეს უშვრებოდი რაღა — სტროგობასა —ვტუქსავდი და უშრიდიალებდი!

ეხლა?

ე-ე-ხ, მახლაზ, ნულარა მკითხავთ რაღა, გულის დარდებს ნუ აძიმლით: განა ჩემი საცოდაობა ისე კი არა გაქვთ გაგონილი? განა არ იცით ჯიგარში რა პაჟარი მაქვს გაჩენილი, რა ბოღმა მაწუხებს და გულში რა ზარავანდი მიდგია?

არა რა მაზალოა და, ამ ბოლო დროს როგორ სამგლე გოჭივით აცუნცრუკდა, მოდნას არ იკლებს, მარაქაში ჩავარდა რაღა და რასაც დაინახავს და გაიგონებს, მამეხტალნად პადრაჟენიას უშვრება. მააშ!

შენ კი მაიტა ოსეფჯან, ქვის გულში შაძვერი, ჰუნარები გაშალე, ფული მაიგე, რომ მერე ეს შენგნით მოგებული შუშანამ ჭამოს, ჰამაც შიშით ხმა ვერ ამაიღო, საყვედური ვერა სთქო, ანგარიში ვერ მაითხოვო; თორემ ჰაა, ქეხადელი, ზაგსი, ალიმენტები, რაენაპრავეა—ათასი ჯანდაბა და დოზანა მზათ არის: პულიმეტრივით მოგაყრის, ჩაგაჩუმებს, პირში ფუტბოლს ჩაგჩრის, ჰამაც თითონვე

გაიბუტება, იმ მოდნო მუტრუკივით გაკრეჭილ თავზე შლაპკას დაიხურამს და — ჰაიდა ტერტერ... ორი სუტკით დაიკარგება!.

ჰაი გიდი აბასთუმან! სად არის ძველი დრო რომ იქ ფაშფაშა გვერდებს ატბივნოი კატლეტათ არ გაუხდი და ჰოპოპებს არ დაუფრთხობ!?

ახარ გებნები, ამ მოდნას ჰაკარაკათ აჰყვა მეთქი:

ძოვა თუ არა ზაფხული, ისიც აცუნცრუკდება და ხან კისლავოცკას მაინდომებს, ხან იალტას, ხან აბასთუმანს, ხან ზღვასა და ხან ტბას. ჰამაც მებნება:

— ოსეფჯან, თვალი გაახილე, ხალხი ნახე, დროებას მიჰყე, მოდნას არ ჩამორჩე: ბალშევიკებმა ზაფხული დაჩის დროთ გააკეთეს, ოტპუსკი მოიგონეს და ვისაც რომ მოსამსახურეები ჰყავთ — უშვებენ და უშვებენ. როცა ოტპუსკს მორჩებიან, მერე სტრახ-კასაში ჰგზავნიან, დვაინოვ ფულს აძლევენ და ისევ დაჩისკენ ისტუმრებენ. აი პრიმერნათ ფლან და ფსტან კაცის ცოლი კისლავოცკაში გაგზავნეს, ის მე რითა მჯობიაო? არა რომ მეც უნდა გამგზავნოო.

ვებნები — დედაკაცო, ჭკვაზე მოტრიალდი. შენ იმათ რას ებაძები, იმას ალბათ სტრახკასაში ნაცნობი დოხტურები ეყოლებოდა, ან უპრავდელისგნით კარქი პრატექცია ექნებოდა და ისენი გაგზავნიდნენ, იმათ რაში ენაღვლებათ სახელმწიფო ფულები? მე კი მაგტოლი სადა მაქვს, რით უნდა გაგაგზავნო მეთქი?

საქმეში ხარ?! ახტა-დახტა, ჰოპოპები აუშვა, ყალმაყალი ჩააგდო და ჰუზურში მაინც დამიყაბულა! პირველ ზაფხულს კისლავოცკაში წავიდა, მეორე წელიწადს აბასთუმანში, მერე ბორჯომში, ბახმაროში, ქობულეთში — ვინ მოსთვლის?.

იქიდან ძალიან ლიუბეზნ წერილებსა მწერდა ხოლმე.

— ჩემო გულის მეჭეჭო და აჭკებივით თვალიდან მოუშორებელო ოსეფჯან, რომ იცოდე, ეხლა როგორ მენატრება შენი ნახვა. ჯიგარში სურვილის პაჟარი გამიჩხია, დღე-დალამე არა მძინავს, ვდარდობ, ღამე საბანი არ გადამხადო, ავათ არ გახდე — ჰამაც ძალიან მენაღვლებაო. ჰოო, მართლა, კინაღამ დამავიწყდა, დღესვე ხუთმეტი ჩერვონცი გამომიგზავნე უფულოთა ვარო.

რამტოლიც რომ ფული მოუნდებოდა, იმტოლჯერ სიყვარულის წერილებს მწერდა — მეც მამენტალნათ ტელეგრამით უგზავნიდი. ვიძახდი, თოლ ჰამოს. არაფერი ეწყინოს. გასუქდეს, იქნება ისევ მოქრისტიანდეს და ძველებურათ ოჯახში ნუყლივით ტკბილათ ვიცხოვროთ მეთქი.

ბან ჩუნეს? თურმე დაჩიდან ყველა ცოლები ასეთ წერილებს იწერებიან და იმასაც იმათი პესნა უსწავლია. სახლში ჩამოსვლის მერე კი ისევ ძველებურათ კაპასობდა. (ჰამაც ჩვენში დარჩეს, დრუგ-დომები გაუჩენია და ჰამაც ყველა აკუშერკების ადრესების რედიკულში ატარებს მაამ!).

წელს კი ნაატრევ უარი მითქვია: — მეთქი ამტოლი აბიდა მეყო. ჰამაც ზარალი მამდის, ნალოგები დიდი მაქვს — დაჩის ფული აღარა მაქვს, თყავი — როგორც აბადან - ბაბადან ჰყოფილხარ, სადაც მე — შენც იქ დაჩა რა ჩვენი მაზაა მეთქი?!

ძაან გაჯავრდა, უმძრახათ დამადგა, სახლში სადილების კეთებაზე უარი თქო, აქეთ-იქით ფოშტის ცხენივით სირბილი დაიწყო — და ჰუპუჰ, ერთ შაბათ დღეს სახლში მივსულვარ და ვხედამ — შუშანა ტირის...

— ჰაა, ინჩხაბარა, რას იქულლები?

— არ იცი, რომ ჩვენი გოშპარა ძაღლი ავათ გახდა? ძაღლების დოხტურთან მყავდა და მითხრა თუო — ფილტვების ჩიხოტკა აქვსო და მამენტალნათ წალვერში უნდა წაიყვანოთ თორემ, გაცოფდება და ორივეს შეგჭამთო.. მე დღეს მიკბინა და ჩიხოტკა უკე მიჩნდებაო მაამ! შენ რაღაც ოციოდე ჩერვონცი გენანება, წუწურაქობ და შვილივით გაზრდილ ძაღლს კი ასე ჰკლამ და მეც თან მაყოლეფო: — ზნაჩიტ ჩვენი სიკვდილი გდომებია და გიხაროდეს, მალე დავიხოცებითო!

სწორე გითხრა. ძალიან შემეშინდა, ჰამაც ძაღლი დამენანა, შვილივით გამიზრდია, ოჯახის ლაზათია, გაწურთ ხულია ახოტნიკი ძაღლია.

— ვებნები შუშანჯან, რაკი ეგრეა, ჩემი სიყმე შენ გენაცვალოს ხვალვე წადით, ვალში ჩავარდები და ისე გაგისტუმრეფ მეთქი!

მოლბა, გამხიარულდა, ნუყლივით ტკბილი გახდა და იმავე ნიმუტში ვეშჩების ჩალაგება დაიწყო...

ერთი კვირის შემდეგ წერილი მამდის თუ — არ იდარდო. მეცა და პუპსიკა ძაღლიც კარქათა ვართ, ოზდუხმა მამენტალნათ მოგვარჩინაო, შენც გაცოდვებისა ნუღარ გეშინიან. კარქათ იყავიო! ჰოო, მართლა, რაც რომ ფული წამოვიღე სულ დამეხარჯა და ათი ჩერვონცი გამოიგზავნეო". გაუგზავნე. მთელ თვეს ასე ვიქცეოდი. წარსულ შაბათს კი შუშანას ნახვის ხომშა მამიარა, ჩავჯექი რაგატი პოეზდში და წაველ.

ჟეე ღამე იყო როცა მიველ. ადრესი მალე ვიპოვნე... სპაჟკა ავანთე, კარებზე ვკითხულობ:

„ვეტომ კომნატე ჟივიოტ შუშან წიწმატოვ".

აკოშკა ღია იყო და ვთქვი: — მოდი, არ გავაღვიძებ, აკოშკიდან შაველ, დაუცდი და როცა გაიღვიძებს და ნეაჟიდანაი ძხახამს, უფრო გაუხარდება მეთქი. ჯერ კარზინკა გადავაგდე და მერე მე გადაველ, ერთიც ვნახოთ ვიღაც ახმახი წაწოხტა კრაოტიდან — და ყვირის:

კუდა ლეზიშ ჯიბგირ, ხულიგან, რაზბოინიკ ბეზბოჟნიო. — სწვდა კისერში და პოლზე ზღართა მამადინა. მე ვყვირი. იქიდან შუშანა წამოხტა და წივკობს!. ბოლოს ლამფა აანთეს. ვა. მტერმა, მტერმა ნახოს, რაც მე ვნახე: ვიღაც ახმახი საცვლებში დგას და მემუქრება შუშანა კი შიშისგნით ცახცახებს.

ეშიიში ვკვდები და ვებნები.

— დედაკაცო, გამაგებინე ამ ბემურაზს რა ანგარიში აქვს ჩემთან?

— არაფერი ოსეფჯან, აქ აშიჰკაა, აქ ყაჩაღები არიან, დღეს გავიგეთ, რომ ჩვენთვისაც ნაპადენია უნდა ექნათ და ეს ჩვენი დოხტური ყარაულათ და საშველათ მოვიდა ჩემთან. კი არ გეწყინოსო, ამას ჩემთვის სიკეთის მეტი არაფერი უქნია ამ დაჩაზეო. ეს ჩვენი კბილის დოხტურია, ოქროს კბილს მიკეთებსო. ბოლოს იძახის:

— პაჟალუსტა, პაზნაკომის — ესეც ჩემი ქმარია. იმ დოხტურმა ბოდიში მაიხადა და ხელი ჩამომართო. მერე კუნჭულში მივიდა და ტანისამოსი ჩაიცვა — და იძახის.

— ეხლა მე რაღა საჭირო ვარ, წავალო... არ გაუშვი: რახან ასეთი სიკეთე გიქნია, ბარემ დარჩი და იმ რაზბოინიკ ყაჩაღებს ერთათ ჩაუსაფრდეთ მეთქი. ხელათ პრავიზიაც ამოვიღე და კარგი პურ-მარილიც ვჭამეთ მოკვეკით გავათენეთ. ჰამა ყაჩაღები არ მოვიდნენ (ალბათ გაიგეს რაღა ჩემი ჩასვლა და შეეშინდათ მაამ).

შუშანამ ბევრი საყვედური მითხრა: რატომ პრედუპრეჟდენია არ გამიკეთ, თ უმისვლას აპირებდით. აქ ყველა ცოლებს წინდაწინვე აფრთხილებენ. დაჩის წესი ასეაო. ბოლოს კი ყველანი დავშოშმინდით და ნიდარაზუმენიაც გათავდა. ორშაბათს კი, წამოსვლის დროს შუშანას ვეხვეწე: წამოდი ქალაქში ამ ყაჩაღების ხელში არ ჩავარდე მეთქი. ჰამა გაჯიუტდა — დაჩაში ფული მიმიცია და თავს არ დავანებებფო.

ერთი სიტყვით დარდიანი წამოველ რაღა და სულ შიშის ჰულეთ-მელეთი მამდის — აი, ამისთანა ხათაში ვარ ჩავარდნილი ამ დაჩისაგნითა. აი წაწყდეს მაგის მამგონის სული, როგორც მე მაგან ბოლმა არ დამილია!

ფარხადან

# „სხვის თვალში“

1

გოცხვენოდეს! გრცხვენოდეს!.. მაგრამ შენ რისი შეგოცხვება—სინდისი არ გაწუხებს და ნამუსი!—უთხრა ცოლმა ქმარს და გაანჩხლებული ფანჯარასთან დაჯდა.

ქუჩაში მიდიოდა ეტლი, რომელშიაც იჯდა ქალ-ვაჟი. ეტყობოდათ: ცოლ-ქმარი იყო, და აგარაკზე მიდიოდნენ.

—მოდი აქ! აი შეხედე შენი დასაფასები თვალებით!— და ცოლმა ქმარი ძალით მიათრია ფანჯარასთან.—ხედავ? მაგრამ შენ რას დაინახავ, შენ თვალდამდგარო შენა!

— კარგი, გეყოფა, თორემ... ყველაფერს საზღვარი აქვს!—შეუტია მოთმინებიდან გამოსულმა ქმარმა.

— თორემ რა?! ბუდეზე კვერცხებს არ დაამტვრიო!— დასცინა ცოლმა.

— კვერცხები კი არა,—გვერდებს ჩაგიმტვრევ!

— აბა ერთი სინჯე! მაგრამ ჯერ გამოიტირე მაგი შენი გამოფუტურებული თავი,—ცხრად გაგიხდი!!

— ის დღე ჩაშავდეს, რა დღესაც შენ გადაგეყარე!— თავ-ბედს იწყევლიდა ქმარი.

— აი, მაგაში კი გეთანხმები. მართლაც ჩაშავდეს და ჩაუფსკრულდეს... ქვეყანა აგარაკზე მიდის... ყველა ჩემი ამხანაგები წავიდნენ.. მე კი, ვაი დედავ!—და ისტერიული ტირილი მორთო.—მე კი აქ ვიხარშები ამ სასიკვდილეს ხელში!

— რა ჩემი ბრალია! რატომ წინასწარ გამომატანიე ჯამაგირი და შესჭამე? არ იცოდი, რომ...

— გაეთრიე აქედან! არ დაგინახო, შენ დასამიწებელი შენა!—და მივარდა ქმარს, რომელსაც, გარეთ რომ არ გაესწრო, ალბად, თვალებს ამოკაწრავდა ახლად მანიკიურით გაკეთებულ ბრჭყალებით.

2

ქმარი თავშიშველი მიდიოდა ქუჩაში.

— გამარჯობა, შენი!—მიესალმა ნაცნობი.—ოთგორ მარტო სეირნობ? ალბად: ოჯახობა აგარაკზე გყავს? დიახ! თქვენც ჩემსავით ყოფილხართ! მოგწყინდათ და სეირნობთ, არა? ხომ გენატრება ცოლი? რომელ აგარაკზე გაგზავნეთ?—სხაპასხუპით ლაპარაკობდა ნაცნობი.

— არსად! ტფილისში არის!

— რატომ? ხომ არ გაგიჟებულხარ, კაცო!? მოკვდება ქალი ამ სიცხეში!

— ნეტავი მოკვდებოდეს!—გაიფიქრა და ნაცნობს უთხრა: —რა ვქნა, კაცო; ყოველდღე ვეჩიჩინები და ვეხვეწები აგარაკზე წასვლას, მაგრამ არ შვრება. „შენ მარტოდ ვერ დაგტოვებ, უშენოთ ვერ გავსძლებ. „შენ აქ ვინ მოგივლის ჩემსავითო“... ერთი სიტყვით: ძალიან ვუყვარდა ვერ მშორდება.

— ნეტავი შენ, რომ ასე უყვარხარ ცოლს!—გაიფიქრა ნაცნობმა.

3.

როცა ამხანაგი ესტუმრა, თვალები ამოწმენდილი ჰქონდა სველი ტილოთი (ქუჩაში მოჰკრა თვალი) და წეხანდელი ტირილი არ ეტყობოდა.

— ქალო, შენ კიდევ ტფილისში ხარ?!—მისალმების უმალ მიაძახა მეგობარმა ქალმა.

— რა ვქნა, ჩემო კარგო! ქმარი მარტოდ ვერ დავტოვე (იმას ენაცვალოს ჩემი თავი!). დღე ერთია და ასჯერ მეტყვის: „ჩემო მშვენიერო, ჩემო სიცოცხლევ, წადი აგარაკზე; ფული რამდენიც გინდა, წაიღე; ხომ იცი: შენ ხარ ჩემი ყველაფერი“-ო.

— კარგი ქმარი გყოლია! შეგაბეროს ღმერთმა მასთან! —მიულოცა მეგობარმა.

— ოი! ღმერთმა დაიფაროს მასთან შებერება. ღმერთო გასცვითე მალე, თორემ რა მეშველება!—გაიფიქრა ცოლმა და მეგობარს კი მადლობა გადაუხადა:

— გმადლობ... გმადლობ!

— ნეტავი ამას—რა კარგი ქმარი ჰყოლია!—გაიფიქრა მეგობარმა ქალმა.

ჭინჭარი

# ცნობათა მიღება



**ბუზ-ბუზს**, (ბახმარო): ვათავსებთ თქვენს ლექსს სავსებით:

**შარშან ამ დროზეც აქ ვიყავ,—დავრბოდი მე ნაძვნარშიო.**
**აქ ყოფნა სჯობნის ათასჯერ ყოფნასა დაბლა ბარშიო.**
**ცოლს მივატოვებ და სხვა ქალს ამოვუდგები მხარშიო.**
**კარგ დარში სხვასთან ვსეირნობ, ცოლთან ვარ კი ავდარშიო.**

**შარშან ბებია მომიკვდა (უცხონდეს იმას სულია).**
**„ტარტაროზშიაც ჩამაგდეთ, მით მინუგეშეთ გული.**
**დროებას კარგად ვატარებ, გული მაქვს მხიარულია.**
**წამოსვლას ჯერ არ ვაპირებ, თუ არ დამაკლდა ფული.**

**ხშირად გორაკზე ავდივარ,—ჰაერი ვულაპო მეტია.**
**თან მახლავს ერთი გოგონა, რომელიც მეტად ცეტია.**
**მასთან მაქვს მუდამ მსჯელობა,—თავს მესხმის მისგარეტია.**
**ეს რომ მე ცოლმა გამიგოს, მომხვდება ზურგზე კეტია.**

**შენ გენაცვალე, ტარტაროზ, არ უთხრა ეს ჩემს ცოლსაო,**
**თორემ ეს რომ მან გაიგოს, ზურგზე ამადენს ბოლსაო.**
**ქალებში ფასი რომ მქონდეს,—ვმალავ მე ბეჭედს რგოლსაო,**
**თითქოს ვარ კაცი უცოლო, დავეძებ მე ჩემს ტოლსაო.**

**ხშირად ნისლი, სქელი ნისლი მთიდან აქეთ ჩამოწვება;**
**წამოუსწრებს ქალ-ვაჟს ხაღმე და ძახილი დაიწყება:**
**„გამოლევა, გამოლევა... ის რას შვრება, ის რას შვრება?!**
**მოშორებით იქ ნაძვნარში არის კეგლის სათამაშო.**
**იქ დადიან საარშიყოთ: ელენე და ჩვენი მაშო.**
**იქ ქალს ეტყვის ვაჟი ასე: ჩემო ტკბილო რძისა ქაშო,**
**გევედრები ცხოვრების გზა შენი სახით მიკაშკაშო.**

**გაისვრიან შარს და უკან მარცხი ხდება მეტად ხშირად.**
**მაგრამ ყურსაც არვინ იბერტყს, არ აგდებენ ამას ჩირად.**
**იქ თამაში ზოგ კავალერს თუმც უჯდება მეტად ძვირად**
**მაგრამ იგი მაგიერად გაინაღდებს ნაძვის ძირად.—**

**სადაც მუდამ ხმარებაში არის კარტი-კამათელი,**
**რომელშიაც მეტად ხშირად წაუგიათ ფული მთელი;**
**მუცელი კი ხშირად რჩება ამის გამო ცარიელი..**
**მე რომ ამას მართალს ვამბობ დამიმოწმებს გაბრიელი.**

ვაჰხ-ვაჰხს! (არაზინდო): თქვენს მართალს ამბობთ!

„არაზინდო“... ეს ისეთი ხარითმო სიტყვაა, რომ ძალაუნებურად ლექსის წერის მადაზე მოგიყვანს კაცს. ამას თუ მიუმატებთ მის მშვენიერ ბუნებას, მაშინ, ტარტაროზო, გასაკვირალი არ უნდა დარჩეს თქვენთვის ეს ჩემი ლექსი:

სადაც მე ვარ ამას ჰქვია
აგარაკი „არაზინდო“,
ტარტაროზო, ჩემი ლექსი
შენს გოდორში არა ზიდო.

ალბად ჩვენი გოდორი იგივე იქნება თქვენი წერილისათვის, რაც თქვენთვის „არაზინდო“, რომლის ჰავა თქვენ არ მოგიხდებათ იმაზე მეტად, ვიდრე ჩვენი გოდრის ჰავა თქვენს ჰლექიან წერილს.

# „ს ა ფ ა რ ი“

სურ. მარიაშის



— ვა, ეს ოხერი წინ ჩამოგვიდგა და ჩვენამდი ზღვის ჰაერს არ უშვებს.

---

**შემბრალებელს** (მანგლისი): შე დალოცვილის შვილო, სხვა რომ გებრალებათ, თავისი თავი რატომ არ შეიბრალეთ ამოდენა წერილების წერით? (ვერა ხართ „შემბრალებელი“). მაგრამ ჩვენ მაინც შევიბრალებთ თქვენს ამდენ „თავნაკლავს“ და თქვენი პოემიდან მოვიყვანთ შემდეგ ალაგს:

მიკვირს ღმერთმანი: ქლექიანები,
(რაღა თქმა უნდა ქალზეა ბჭობა),
როს ქმრები მოსდით მათ „რქიანები“
ჰაშინ ხველებით ყველა იხრჩობა...
მაგრამ, როდესაც მიდიან ქმრები,-
მათ ვერ აშინებს მაშინ სიცივე;
გვიან ღამემდი სდევენ ამქრები
და ავიწყდებათ მათ ყოველივე

---

ტფილისიდან დაშორებით
აგარაკი მანგლისია.
ჰავა არის იქ ისეთი,—
შერცხვეს მასთან ინგლისი
იქ ვიყავი მე შარშანწინ,
მოვიკეთე მგონი ცოტა.
ვერავის ვერ შეაშინებს
ჩემბერლენის მკაცრი ნოტ
მანგლისიდან წამოვედი
ვინახულე მე კოჯორი,
ბარგ-ბარხანის წასაღებად
ჰე თამამად მეყო ჯორი.
შომავალ წელს, ცხადი არის,
ვესტუმრები აბასთუმანს.
ვისაც ბევრი ფულები აქვს,
ღღეში ხარჯავს აბაზ-თუმანს.
აქ შევჩერდი,—თუმც მინდოდა
რომ მენახა ბორჯომ-ცემი,
მაგრამ ვშიშობ თქვენი ხელით
რომ არ გავხდე მე საცემი.

ძართლაც კარგ დროზე გაათავეთ,—გულთმისანი ყოფილხართ, თორემ აგისრულდებოდათ შიში.

**დაჟეჟილს,** (წყალტუბო): ჰა, ვბეჭდავთ. თუ კი საშველი დაადგება:

მე მეგონა რევმატიზმს
მომირჩენდა წყალტუბო;
ვინც აქეთკენ წამოხვალთ,
წამოიღეთ თან კუბო.
რევმატიზმს რომ განშორდ
შეგეყრება სხვა რამე.
საწოლებზე ჩხუბია:
— არა შენ და არა მე.

# ზღვის პირას



ძალიან კარგი, თუ შენც ლენასთან მოდიხარ სტუმრათ.
გლეხი: შეხედეთ ერთი ამ უსინიდისოებს!? ტანზე გაუხდიათ! და ისე მიდიან სტუმრათ,—ისიც ქალთან.

აღმასკომის 1-ლი სტამბა, კამოს ქ, № 68.